ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-6 მოწვევის
ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარი წევრის

ალექსანდრე ხუჯაძის

2017 - 2018 წლებში გაწეული სამუშაობის შესახებ

ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, წარმოგიდგენთ ანგარიშს გაწეული სამუშაოს შესახებ.

2017 წლიდან ალექსანდრე ხუჯაძე გახლავთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეექვსე მოწვევის მაჟორიტარული წესით არჩეული წევრი (ნაძალადევის რაიონი – 20-ე ოლქი), ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წევრი, ასევე ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის წევრი, ამასთანავე, ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-6 მოწვევის დეპუტატის, ალექსანდრე ხუჯაძის, მიერ 2017 წლის ნოემბრიდან 2018 წლის ოქტომბრის ჩათვლით გაწეული სამუშაოების შესახებ ანგარიში

2017 წლის ნოემბრიდან 2018 წლის ოქტომბრის ჩათვლით გაიმართა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 29 და ბიუროს 28 სხდომა; მიღებულ იქნა 397 განკარგულება და 127 დადგენილება. დეპუტატმა ალექსანდრე ხუჯაძემ მონაწილეობა მიიღო თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს -- სხდომის მუშაობაში.

განვლილი პერიოდის განმავლობაში ფრაქციამ „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ ჩაატარა 33 სხდომა, რომელზეც განხილული იყო 53 საკითხი. დეპუტატმა ალექსანდრე ხუჯაძემ მონაწილეობა მიიღო ფრაქციის 18 სხდომაში და განიხილა 22 საკითხი.

ფრაქციის სხდომაზე განხილულ იქნა დედაქალაქისთვის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული საკითხები:

- „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის მიმოხილვა;
- ქ. თბილისის სატრანსპორტო პოლიტიკის სამომავლო გეგმა;
- თბილისის მუნიციპალიტეტის სამაჟორიტარო ოლქებში არსებული პრობლემები;

- დასაქმების ფორუმის მიმდინარეობა და სამომავლოდ გასამართი ღონისძიებები;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ახალი სატრანსპორტო პოლიტიკის ზოგიერთი მიმართულების დაგეგმვისა და მათი შესრულების გზების განხილვა;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში არსებული საბავშვო ბაგა-ბაღების რეაბილიტაციის შესახებ;
- თბილისის მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემური მშენებლობები;
- შშმ პირებისთვის ხელშემწყობი პროექტების განხორციელება და მათი ჩართულობის უზრუნველყოფა;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის განხილვა“;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონების გამგეობების სოციალური ბიუჯეტის გადანაწილების პრინციპების შესახებ.

კომისიური მუშაობა

ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისია

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის მიერ გაიმართა 18 სხდომა და განხილულ იქნა 24 საკითხი. კომისიაზე შემუშავებულ იქნა დედაქალაქისთვის მნიშვნელოვანი შემდეგი საკითხები:

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;
- „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროკავშირს შორის „საგრანტო ხელშეკრულების დადებაზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების თაობაზე“;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის მიმდინარე პროექტების შესახებ;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ;
- საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის

მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ (საკრებულოს №12-03182013-03 20.07.2018);

- დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა (№12-03181862-03);
- „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის №17-66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;
- „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონების მართვის სააგენტოს მიერ რიგი ღონისძიებების განხორციელების შესახებ“.

ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ გაიმართა 36 სხდომა და განხილულ იქნა 181 საკითხი. ალექსანდრე ხუჯაძემ მონაწილეობა მიიღო 31 სხდომაში და განიხილა 178 საკითხი.

კომისიაზე შემუშავებულ იქნა დედაქალაქისთვის მნიშვნელოვანი შემდეგი საკითხები:

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ “JEC Fund”-ის გრანტის მიღების საკითხზე თანხმობის მიცემის შესახებ. გრანტის მიღების მიზანია საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე იაპონური ბაღის მოწყობისთვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროკავშირს შორის ,,საგრანტო ხელშეკრულება ევროკავშირის გარე მოქმედებები“ გასაფორმებელი გრანტის ხელშეკრულების დადების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ (26.12.2017; 12-0317360129-03), კერძოდ, ევროკავშირისგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გრანტის გამოყოფის მიზანია, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს დაეხმაროს და ხელი შეუწყოს ბიზნესაქსელერატორის შექმნაში. წარმოდგენილი პროექტის თანახმად, გრანტის ოდენობა განისაზღვრა 506 633.93 (ხუთას ექვსიათას ექვსას

ოცდაცამეტი ევრო და ოთხმოცდაცამეტი ცენტი) ევროს ოდენობით, რომელიც მოხმარდება ბიზნესაქსელერატორის შენობის აღჭურვას, დამწყები ბიზნესის დამხმარე ექსპერტების სახელფასო ანაზღაურებას, სტრატეგიული დოკუმენტების და ბიზნესგეგმების შექმნას. გრანტის ხანგრძლივობა მოიცავს ოთხ წელს, 2018-2021 წლებს. ამასთანავე, საწარმოებს გაეწევათ დახმარება და მათ უზრუნველყოფენ სამუშაო სივრცეებით, საკონფერენციო დარბაზებით, ბიზნესის / სტრატეგიის შექმნის კომპონენტითა და გაყიდვების ხელშეწყობით. სულ 2019-2021 წლებში შეიქმნება 152 ბიზნესგეგმა. მონაწილე კომპანიებისთვის ყოველ წელს ორგანიზებული იქნება 1 მსხვილი და 2 მცირე გამოფენა, გაიმართება ბიზნესფორუმები, ბენეფიციართა ცნობიერების ამაღლებისა და გაყიდვების ხელშეწყობის მიზნით შეიქმნება ვებგვერდის 10 სხვადასხვა ნიმუში;

- „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი №12-03180313-03;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციის და ინტეგრირებული ავტომატიზირებული მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემის შესამუშავებლად გასაფორმებელი გრანტის ხელშეკრულების“ თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ (№12-0318054161-03); თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს შორის დაიდო სასესხო ხელშეკრულება პროექტისათვის: „ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციისა და ინტეგრირებული ავტომატიზირებული მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემის შემუშავება“. პროექტისათვის გამოყოფილია 790 000 ევრო, აქედან 300 000 ევრო ჩადებულია 2018 წლის ბიუჯეტში, ხოლო 490 000 ევრო მიღებულ იქნება გრანტის სახით. პროექტის ხანგრძლივობა არის 15 თვე. პროექტის ფარგლებში განხორციელდება მგზავრთა ნაკადების შესწავლა, ახალი სამარშრუტო სქემის შემუშავება;
- დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა. აღნიშნული გეგმა ქალაქის ტერიტორიების განვითარებითი მიმართულებების დადგენისას ეყრდნობა და გამოყოფს შემდეგ ძირითად კონცეპტუალურ მოსაზრებებს: კომპაქტური ქალაქი; მწვანე ქალაქი; კარგად შეკავშირებული ქალაქი.

ქ. თბილისის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატის, ბატონი ალექსანდრე ხუჯაძის, საქმიანობის ანგარიში სამაჟორიტარო რაიონში

ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის, ბატონი ალექსანდრე ხუჯაძის, წარმომადგენლობა ფუნქციონირებს მიმდინარე წლის 20

თებერვლიდან. განვლილი პერიოდის განმავლობაში წარმომადგენლობაში გაიმართა 38 ოფიციალური შეხვედრა, სადაც მაჟორიტარმა შეხვედრა გამართა 571 მოქალაქესთან, ამასთანავე მოქალაქეთა მომართვიანობა არის საკმაოდ მაღალი, განვლილი პერიოდის განმავლობაში წარმომადგენლობაში კონსულატია გაეწია 1 200-ზე მეტ პიროვნებას, შესაბამისად, მაჟორიტართან შეხვედრებისა და წარმომადგენლობაში მომართვიანობის ფარგლებში 238 შუამდგომლობა იქნა გაგზავნილი სხვადასხვა უწყებაში და სიტყვიერი შუამდგომლობა გაუწია ბატონმა ალექსანდრემ 80-ზე მეტ პიროვნებას. სოციალური საკითხის მიმართულებით მოქალაქეთა ძირითადი მომართვიანობა დაკავშირებულია მედიკამენტების, ოპერაციებისა და სხვადასხვა თერაპიული პრობლემის მოგვარებასთან, შესაბამისად, გაწეული შუამდგომლობების 90% იქნა დაფინანსებული სხვადასხვა უწყების მიერ. აღსანიშნია ის ფაქტი, რომ მაჟორიტარმა და საკრებულოს წარმომადგენლობის თანამშრომლებმა 50-ზე მეტი შეხვედრა გამართეს ნაძალადევის N20-ე ოლქში სხვადასხავა ლოკაციაზე, სადაც 1 200-ზე მეტ მოქალაქესთან გაიმართა შეხვედრა, შესაბამისად, განხილულ იქნა მოქალქეების მიერ მოწოდებული პრობლემები.

ინფრასტრუქტურული საკითხები

დეპუტატ ალექსანდრე ხუჯაძის რეკომენდაციით, 2018 წლის ბიუჯეტში შესაძლებლობის ფარგლებში ასახული იქნა ყველა ის პრობლემური მისამართი, სადაც წლების განმავლობაში ვერ მოხერხდა გზის საფარის, დამჭერი კედლების რებილიტაცია.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საგზაო ინფრასტრუქტურა მოწესრიგდა შემდეგ მისამართებზე:

- ჭოპორტის ქუჩა, ბოლო მონაკვეთი. პროექტის ფარგლებში ქუჩის დაზიანებულ ნაწილზე მოიხსნა გზის საფარი, მოეწყო ბორდიურები და დაიგო ორი ფენა ასფალტი. საგზაო სამუშაოები განხორციელდა 700 კვ.მ ფართობზე; პროექტის ღირებულებამ შეადგინა 57 553 ლარი;
- ხევისუბნის ქუჩაზე მოეწყო სანიაღვრე ქსელი, ბორდიურები, აშენდა გზის დამჭერი კედლები, ქუჩის ძირითად ნაწილზე ასფალტის, ნაწილზე კი ბეტონის საფარი დაიგო. ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის ნაძალადევის რაიონის გამგეობის ბიუჯეტიდან 125 980 ლარი გამოიყო;

- გვაზაურის ქ., #1 გასავალი. N2-იდან N16ა-ს ჩათვლით რეაბილიტაცია ჩაუტარდა ასფალტის საფარს, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 27 569,19 ლარი;
- ჭოპორტის ქ. N9-ის მიმდებარედ ბეტონის საცალფეხო გზა მოეწყო, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 3 905.87 ლარი;
- გვაზაურის ქ. N1-ლი გასავალი (N2 დან N16ა-ს ჩათვლით), პროექტის ღირებულება 28 552,96 ლარი;
- გუდამაყრის ქ. N 4, პროექტის ღირებულება 40 ათასი ლარი (მიმდინარე პროექტი)
- ღოღობერიძის ქუჩა, პროექტის ღირებულება 48 000 ლარი (დაგეგმილია მიმდინარე წელს დასრულება პროექტის);
- თიანეთის ქუჩის გაგრძელება 78 000 ლარი (დაგეგმილია მიმდინარე წელს დასრულება პრექტის);
- გვაზაურის ხევი, პროექტის ღირებულება 174 793 ლარი (დაგეგმილია მიმდინარე წელს დასრულება პრექტის);
- ახალდაბის ქუჩა, პროქტის ღირებულება 47 914 ლარი;
- გვაზაურის მეორე გასასვლელი, პროექტის ღირებულება 99 000 ლარი (კედელბი გამგრდა, ასფალტს იწყებენ);
- დავით გურამიშვილის გამზირიდან, (კაკაბაძის ქ. სადმელის გადაკვეთამდე) პროექტის ღირებულება 58 284,2 ლარი;
- გოგაშენის ქუჩის ბოლო ორმოულის შეკეთება ბეტონის საფარით, პროექტის ღირებულება 1040,54 ლარი;
- ჭოპორტის ქ. N9-ის მიმდებარედ საფეხმავლო ბილიკი მოეწყო, პროექტის ღირებუება 3905,87 ლარი;
- თმოგვის ქ-ის N2-4-ის მიმდებარედ დაზიანებული გზის საფარის შეკეთება, პროექტის ღირებულება 488,42 ლარი;

მოქალაქეთა მომართვიანობისა და საჭიროების აუცილებლობის გათვალისწინებით, **გზის დამჭერი კედლების სარეაბილიტაციო სამუშაოები** განხორციელდა ორ ლოკაციაზე, კერძოდ:

- ზვარეთის ქ. #36-ში გზის დამჭერი საყრდენი კედლის მშენებლობა. ადგილობრივი მოსახლეობისთვის საფეხმავლო გზაზე გადაადგილება ბევრად უსაფრთხო გახდა. გზის დამჭერი კედლის სიგრძე 23 მეტრია,

სიმაღლე - 4·7 მეტრი· აღნიშნულ მისამართზე შესრულებული სამუშაოების ღირებულაბამ 95 024 ლარი შეადგინა;

- გვაზაურის მე-2 შეს., ნ14-ის მიმდებარედ საყრდენი კედლის რეაბილიტაცია. პროექტის ღირებულებამ შეადგინა 16 403,09 ლარი.

კიბეებისა და მოაჯირეების მოწყობა

1. ედისის ქ. #21-ის მიმდებარედ კიბისა და მოაჯირის მოწყობა. პროექტის ღირებულება: 1784,87 ლარი;
2. გურამიშვილის გამზ. #33ბ და 33ბ-ის მიმდებარედ კიბისა და მოაჯირის მოწყობა. პროექტის ღირებულება: 2 014,72 ლარი.

სკვერები

- გურამიშვილის გამზირზე, 141-ე საჯარო სკოლის მიმდებარედ, ახალი სკვერი მოეწყო. ინფრასტრუქტურული სამუშაოები 2 000 კვ.მ ფართობზე შესრულდა. პროექტის ფარგლებში საბავშვო ატრაქციონები, სარწყავი სისტემა და გარე განათების ქსელი მოეწყო. ასევე, განთავსდა საბაღე სკამები და სანაგვე ურნები. აღნიშნული პროექტისთვის ნაძალადევის რაიონის გამგეობის ბიუჯეტიდან 143 548 ლარი გამოიყო;
- მეტრო „ღრამღელეს“ მიმდებარე სკვერის რეაბილიტაცია მოსახლეობის თხოვნა იყო. აღნიშნული პროექტის ღირებულება გახლავთ 133 255 ლარი.

სანზონის ტერიტორიაზე ამ დროისთვის სამ მისამართზე განთავსდა დასასვენებელი პავილიონი (ფანჩატური), კერძოდ:

- მეტროსადგურ „ღრმაღელეს“ მიმდებარედ არსებულ სკვერში;
- სანზონის N16 კორპუსის მიმდებრედ;
- ხორნაბუჯის ქ. N47-ის მიმდებარედ.

სტადიონები, საბავშვო ატრაქციონები და სავარჯიშო ტრენაჟორები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სავარჯიშო ტრენაჟორები დამონტაჟდა ორ ლოკაციაზე, კერძოდ:

- გურამიშვილის გამზირზე არსებულ სკვერში, სანზონის მე-16 კორპუსის მიმდებარედ;
- ქვიშხეთის ქუჩა, ‘‘ა’’ კორპუსის მიმდებარედ.

საბავშვო ატრაქციონები და სტადიონები მოეწყო შემდეგ მისამართებზე:

- ქსნის ქ. N12-ის მიმდებარედ. პროექტის ღირებულება: 18 201 ლარი;
- ფეიქრების ქ. N2-ში, სადაც დევნილებისა და სოციალურად დაუცველების კომპაქტური ჩასახლება მდებარეობს. პროექტის ღირებულება: 18 811 ლარი;
- თბილისის ზღვაზე არსებულ დევნილთა ჩასახლებაში, ე.წ. კადეტთა კორპუსებში, საბავშვო გასართობი მოედანი განთავსდა. სამუშაოების ფარგლებში კაუჩუკის მოედანზე დამონტაჟდა ატრაქციონები, საბაღე სკამები და მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა. კონკრეტულად ამ მისამართზე განხორციელებული პროექტის ღირებულებამ 39 663 ლარი შეადგინა;
- თბილისის ზღვაზე დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებაში ფეხბურთისა და კალათბურთის კომბინირებული სტადიონი და საბავშვო გასართობი მოედანი მოეწყო. ტურბაზას ტერიტორიაზე განხორციელებული ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის ნაძალადევის რაიონის გამგეობის ბიუჯეტიდან 75 414 ლარი გამოიყო;
- გუდამაყრის ქ. N5-ის მიმდებარედ რეაბილიტაცია ჩაუტარდა კალათბურთის მოედანს. პროექტის ღირებულება: 42 510,62 ლარი;
- ერწოს ქ. N15-ის მიმდებარედ სტადიონს ჩაუტარდა რეაბილიტაცია და ახალი ხელოვნული ბალახის საფარი განთავსდა. პროექტის ღირებულება: 24 706,45 ლარი.

საგზაო-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურული საკითხები

საგზაო-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სათანადოდ მოწყობისა და მოქალაქეთა ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით ალექსანდრე ხუჯაძემ, მერიის სატრანსპორტო სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად შეისწავლეს ნაძალადევის რაიონის, კერძოდ, სამაჟორიტარო ტერიტორიაზე არსებული ავტობუსების გაჩერებები, სიჩქარის შემზღუდავი ბარიერები და საგზაო ნიშნები. შედეგად,

მოსახლეობის მოთხოვნის გათვალისწინებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება – გურამიშვილის გამზ. N29-ისა და N50-ის (გურამიშვილის გამზ და ვარდისუბნის ქუჩის კვეთაზე) მიმდებარედ, ორ ლოკაციაზე, დამონტაჟდება შუქნიშანი. არსებული საკითხი წლების განმავლობაში აწუხებს მოსახლეობას და არაერთი ავტოსაგზაო შემთხვევა დაფიქსირდა არსებულ ლოკაციებზე. ამასთანვე, მოქლაქეების თხოვნით, „ოქროს საწმისის“, სანატორიუმ „ქართლისა“ და წმ. გაბრიელის სახელობის ტაძრის (გურამიშვილის გამზ. N15) მიმდებარე ტერიტორიაზე სიჩქარის შემაფერხებელი ბორცვები მოეწყო, ასევე საგზაო ნიშნები განთავსდა გლინკას ქუჩაზე.

ნაძალადევის რაიონის მოსახლეობამ არაეთხელ მოითხოვა მუნიციპალური ტრანსპორტის საჭიროების საკითხის მოგვარება, კერძოდ, ფეიქრების ქუჩაზე. მოქალაქეებს წლების განმავლობაში აწუხებდა არსებული საკითხი. მიმდინარე წელს მერიის სატრასპორტო სამსახურის მიერ იქნა შემუშავებული N74 ავტობუსის მარშუტი, წყალსადენისა და ფეიქართა ქუჩებიდან მეტრო „ღრმაღელის“ გავლით და მეტრო „სარაჯიშვილამდე“, ამჟამად ავტობუსი ემსახურება მოქალაქეებს.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა

საანგრიშო პერიოდის განმავლობაში ნაძალადევის რაიონში, კერძოდ, სამაჟორიტარო ოლქში, რაიონის გამგეობასთან კოორდინირებული მუშაობით თანადაფინანსდა შემდეგი პროექტები:

- გუდამაყრის ქ. N2ა, შიდა წყალ-კანალიზაციის გაყვანილობა, 15900.55 ლარი (ამხ. წილი: 1999.9);
- სანზონა, კორპ „ა“, ლიფტი, პროექტის ღირებულება 13048.13 ლარი (ამხ. წილი: 2609.63 ლარი);
- გუმაყრის ქ. N4, საერთო სარგებლობის კიბეების აღდგენა, პროექტის ღირეულება 46338.03 ლარი (ამხ. წილი 9267.61);
- სანზონა, კორპ N13, ლიფტი, პროექტის ღირებულება 13360.58 ლარი (ამხ. წილი 2672.12);
- არბოს ქ. კორპ. N20ბ, ბრტყელი სახურავი, პროექტის ღირებულება 3410.73 ლარი (ამხ.წილი 682.15)
- სანზონა, კორპ N15, წყალსაწრეტი მილები, პროექტის ღირებულება 3272.6 ლარი (ამხ. წილი 654.52);
- გურამიშვილის გამზ. N80, ბრტყელი სახურავი, პროექტის ღირებულება 14359,13 ლარი (ამხ.წილი 2871.83);

- ჩარგლის ქ. N50ა, კაპიტალური გამაგრების პროექტის მომზადება, პროექტის ღირებულება 5188 ლარი (ამხ. წილი 518.18);
- ბარამიძის ქ. N7, შიდა წყალ-კანალიზაციის გაყვანილობა, პროექტის ღირებულება 9063,96 ლარი (ამხ. წილი 1599,52);
- გურამიშვილი გამზ. N12ა, კორპ ნ 3, ბრტყელი სახურავის მოწყობა, პროექტის ღირებულება 11732,15 ლარი (ამხ. წილი 2933,04);
- გურამიშვილის გამზ. N70, კორპ N5, შიდა წყალ-კანალიზაციის გაყვანილობა, პროექტის ღირებულება 22188,74 ლარი (ამხ.წილი 3328,31);
- გურამიშვილის გამზ. N84, შიდა წყალ-კანალიზაციის გაყვანილობა, პროექტის ღირებულება 31035,74 ლარი (ამხ. წილი 4655,36);
- გურამიშვილი გამზ N41ა, შიდა წყალ-კანალიზაციის გაყვანილობა, პროექტის ღირებულება 17066,44 ლარი (ამხ. წილი 2559,96);
- ჩარგლის ქ. N61-63, ა, შიდა წყალ-კანალიზაციის გაყვანილობა, პროექტის ღირებულება 24115,89 ლარი(ამხ. წილი 3617,38);
- გვაზაურის ქ, კორპ. N3ბ, ბრტყელი სახურავი, პროექტის ღირებულება 13126.00 ლარი (ამხ.წილი 2625.20);
- ქვიშხეთის ქ. N4, წყალ-კანალიზაცია, პროექტის ღირებულება 5344.32 (ამხ წილი 534.43)
- სანზონა N3ვ, ბრტყელი სახურავი, პროექტის ღირებულება 7901.80 ლარი (ამხ.წილი 740.79);
- გურამიშვილის გამზ. N78ბ, წყალსაწრეტი მილები, პროექტის ღირებულება 608.76 ლარი (ამხ.წილი 60.87);
- სანზონა კორპ. N15, ბრტყელი სახურავი, პროექტის ღირებულება 8382.15 ლარი (ამხ. წილი 838.21);
- ჩარგლის ქ. N50, სენსორული განათება, პროექტის ღირებულება 1279.05 ლარი (ამხ.წილი 127.90);
- ერწოს ქ. N6, ბრტყელი სახურავი, პროექტის ღირებულება 1112.28 ლარი (ამხ.წილი 111.2);
- ჭოპორტის ქ. N5, ბრტყელი სახურავი, პროექტის ღირებულება 16761.99 ლარი (ამხ.წილი, 1676.19);
- კადეტთა კორპ. N6, ქანობრივი სახურავი, პროექტის ღირებულება 18998.84 ლარი (ამხ.წილი 1899.90);
- ბუაჩიძის ქ. N20ა, სადარბაზოს რემონტი, პროექტის ღირებულება 2372.37 ლარი (ამხ.წილი 237.23);
- გურამიშვილის N72ა, ქანობრივი სახურავი, პროექტის ღირებულება 9434.43 ლარი (ამხ. წილი 943.44);
- გვაზაურის ქ. N2, ბრტყელი სახურავი, პროექტის ღირებულება 7941.90 ლარი (ამხ.წილი 794.19);

- გურამიშვილის N14, წყალ-კანალიზაცია, პროექტის ღირებულება 16562,97 ლარი (ამხ.წილი 1656.29);
- ჭოპორტის ქ. N2, ლიფტი, პროექტის ღირებულება 35632.12 ლარი (ამხ.წილი 3563,21) (მიმდინარე წელს დასრულდება);
- სანზონა კორპ N7, ლიფტი, პროექტის ღირებულება 22790 ლარი (ამხ. წილი 2279.90)(მიმდინარე წელს დასრულდება);
- სანზონა N3ვ, ლიფტი, პროექტის ღირებულება 18958.49 ლარი (ამხ. წილი 3563.21);
- გურამიშვილის გამზ. N30, კორპ 1, სენსორული განათება, 5676.19 (ამხ. წილი 567.62)
- ერწოს ქ. N6, დარჩენილი ნაწილის გამაგრება, პროექტის ღირებულება 56135.65 ლარი (ამხ.წილი 5613.74);
- გურამიშვილის N78ბ, ბრტყელი სახურავი, პროექტის ღირებულება 16031.22 ლარი (ამხ.წილი 1603.12);
- სანზონა კორპ. N7, ბრტყელი სახურავი, პროექტის ღირებულება 7662.07 ლარი (ამხ. წილი 766.20);
- ერწოს ქ. N6, დარჩენილი ნაწილის გამაგრება, პროექტის ღირებულება 15055.99 ლარი (ამხ.წილი 1505.59);
- სანზონა კორპ. N5, წყალ კანალიზაცია, პროექტის ღირებულება 20856.12 ლარი(ამხ.წილი 2085.61) (მიმდინარე წელს დასრულდება);
- არბოს ქ. N20ა, ლიფტი, პროექტის ღირებულება 18662.78 ლარი (ამხ.წილი 186.63) (მიმდინარე წელს დასრულდება);
- ხევისუბნის ქ. N12, წყალ-კანალიზაცია, პროექტის ღირებულება 44487.87 ლარი (ამხ.წილი 4448.79) (მიმდინარე წელს დასრულდება);

გაზიფიცირება

საცხოვრებელი ბინების გაზიფიცირება ნაძალადევის რაიონში, გუდამაყრის ქ. N2ა-ში, განხორციელდა. ყოფილი ნევროლოგიური კლინიკის შენობაში მცხოვრები დევნილებისა და სოციალურად დაუცველთა 144 ოჯახი ბუნებრივი აირით უკვე სარგებლობს. გასულ წელს ნაძალადევის რაიონის გამგეობამ ყოფილი ნევროლოგიური კლინიკის შენობის მცხოვრებლებთან ერთად სხვა სოციალურად დაუცველი და დევნილი ოჯახების გაზიფიცირების თანხებიც აანაზღაურა. 2017 წლიდან დღემდე სულ 225 ოჯახი დაფინანსდა, მიმდინარე წელს კი გამგეობის ბიუჯეტიდან 200 საცხოვრებელი ბინის გაზიფიცირებისთვის საჭირო თანხები გამოყო, კერძოდ, 80 000 ლარი.

განხორციელებული აქტივობები, ღონისძიებები ჯანდაცვისა და სოციალური სფეროს მიმართულებით

მიმდინარე წლის 31 მარტს ალექსანდრე ხუჯაძის ინიციატივით სამედიცინო ცენტრ „ვივა მედში“ მრავალპროფილური სამედიცინო გამოკვლევები ნაძალადევის რაიონში მცხოვრებ 240 მოქალაქეს ჩაუტარდა. მოსახლეების მოთხოვნით დამატებითი ღონისძიება გაიმართა აპრილის თვეში, რადგან მოქალაქეთა თხოვნები გამოკვლევების შედეგად გრძელდებოდა. მეორე ეტაპის ფარგლებში „ვივა მედში“ ნაძალადევის რაიონში მცხოვრებ 300-მდე მოქალაქეს უფასო სამედიცინო მრავალპროფილური გამოკვლევები ჩაუტარდა და ამასთანავე 120-მდე სპორტსმენმა მიიღო უფასო გამოკვლევებში მონაწილება.

გარემოს დაცვის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები

2018 წლის 14 მაისს ალექსანდრე ხუჯაძის ინიციატივით და მოსახლეობასთან ერთად სამაჟორიტარო ოლქში 60 ძირი წიწვოვანი ხე-მცენარე 10 სხვადასხვა ტერიტორიაზე დაირგო.

მიმდინარე წლის 20 ივნისს მაჟორიტარის ინიციატივით თბილისის ზღვის სანაპირო ზოლი დასუფთავდა. აქციაში მონაწილეობა დეპუტატთან ერთად ნაძალადევის რაიონსი მცხოვრებმა მოქალაქეებმა მიიღო.

სხვა მიმართულების აქტივობები

- 2017 წლის 22 დეკემბერს სანზონის მე-20 ოლქის მაჟორიტარი N84-ე საბავშვო ბაღის აღსაზრდელების ზეიმს დაესწრო და მათ საახალწლო საჩუქრები გადასცა;

- 2017 წლის 30 დეკემბერს დეპუტატმა სანზონის მაცხოვრებლებს დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა. ალექსანდრე ხუჯაძე, მარტოხელა, მძიმე დაავადებების მქონე, ეკონომიური სიდუხჭირის ქვეშ მყოფ, ასევე მრავალშვილიან ოჯახებში იმყოფებოდა და მათ ნობათები გადასცა;

- 2018 წლის 5 აპრილს ბატონმა ალექსანდრემ, სოციალურად დაუცველ 12 ოჯახს წინასაღმდგომო ნობათი პირადად დაურიგა;

- მიმდინარე წლის 9 მაისს ნაძალადევის რაიონში რეგისტრირებულ მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ვეტერანებს ფაშიზმზე გამარჯვების დღე მიულოცა და სასაჩუქრე ნობათები გადასცა;

- პირველ ივნისს (ბავშვთა საერთაშორისო დღეს) მაჟორიტარის ინიციატივით სოციალურად დაუცველი ბავშვები თბილისის ზღვაზე მდებარე საცურაო კომპლექს „ჯინო ფერედაისში“ იმყოფებოდნენ. 25-მა ბავშვმა ცურვასა და ატრაქციონებზე სრიალის გარდა სხვადასხვა გასართობ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა;

- 21 ივნისს ალექსანდრე ხუჯაძემ სოციალურად დაუცველ ოჯახებში მცხოვრებ ბავშვებს მათთვის საჭირო ნივთები და სასაჩუქრე ნაკრებები გადასცა, მაჟორიტარმა სულ 15 ოჯახი მოინახულა.

- პირველ ოქტომბერს, დეპუტატი პენსიონერთა კავშირის ხელმძღვანელობით ორგანიზებულ ღონისძიებას დაესწრო, აღნიშნული საღამო მიძღვილი იყო ხანდაზმულთა დღის აღსანიშნავად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარი წევრი ალექსანდრე ხუჯაძე და მისი წარმომადგენლობა კვლავ აგრძელებს ინტენსიურ მუშაობას მოსახლეობის წინაშე არსებული პრობლემების გადასაჭრელად. მოქალაქეებთან ერთად პრიორიტეტების განსაზღვრა და ერთობლივი ძალისხმევით პრობლემების მოგვარება მაჟორიტარის უმთავრესი ამოცანა იქნება.

პატივისცემით,

ალექსანდრე ხუჯაძე